საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარშავა ქეთევან მამიას ასული

მარშავა ქეთევან მამიას ასული (დ. 18. VIII. 1952, გალი, აფხაზეთის არ), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1996). დაამთავრა მოსკ. კვების მრეწვ. საკავშ. დაუსწრებელი ინ-ტი (1973), ყუბანის სახელმწ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1982). იყო თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის სტატისტიკის კათედრის პროფესორი (1994–2006), ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის სტატისტიკის კათედრის პროფესორი (2006–17), 2017-იდან თსუ-ის პროფესორ-ემერიტუსია. არის სარედაქციო კოლეგიების წევრი ჟურნალებისა – „ეკონომიკა“, „საქართველოს ეკონომიკა“, „ბიზნესი და მენეჯმენტი“, „ეკონომიკა და ბიზნესი“.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება საბაზრო ეკონომიკისა და ეკონომიკურ-სტატისტ. საკითხების კვლევას. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი (2012), ღირსების ორდენი (2013).

თხზ.: მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 1990; სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები, თბ., 2012 (თანაავტ. მ. მინდორაშვილი); Работа предприятии в новых условиях хозяйствования, М., 1990; Методы экономико-статистического моделирования, ч. 1–2, М., 1990–91 (თანავტ.: В. М. Симчера, А. С. Аброскин).